

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



თებერვალი

2024



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორი:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2024 წლის თებერვალში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 3%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 13%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 5%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 10%-ით შემცირდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 126 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2024 წლის თებერვლის თვის სრული წარმოების 12% და მოხმარების 11%-ია.
- თებერვალში განხორციელდა 172.8 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- თებერვალში განხორციელდა 4.2 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო.
- იმპორტის ფასი 0.27 ცენტი, ან 0.70 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 6.5 ცენტი, ან 17.26 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2024 წლის თებერვალში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ჩამოსცდა და ინდექსის მნიშვნელობა 1,424 -ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2024 წლის თებერვალში ინდექსის მნიშვნელობამ 2,224 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2024 წლის თებერვალში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,022 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 3%-იან ზრდას წარმოადგენს (2023 წლის თებერვალში სრული წარმოება 987 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების ზრდამ (+99%) განაპირობა, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (-47%) და ქარის (-2) სადგურების გამომუშავება შემცირდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, 13%-ით შემცირდა (2024 წლის იანვარში სრული წარმოება 1,175 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე კლება თბო სადგურების (-20%) და ჰიდროელექტროსადგურების (-9%) გამომუშავების შემცირებამ გამოიწვია, მაშინ როცა ქარის (+5%) ელექტროსადგურების გამომუშავება გაიზარდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,148 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (1.7%-ით მეტი 2023 წლის თებერვალთან შედარებით და 10%-ით ნაკლები 2024 წლის იანვართან შედარებით) (დიაგრამა 1). 2024 წლის თებერვალში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 126 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 12%-სა და სრული მოხმარების 11%-ს შეადგენდა (2023 წლის თებერვალში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 141 მილიონი კილოვატსაათიანი დეფიციტი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების 14%-ს და სრული მოხმარების დაახლოებით 12%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2024 წლის თებერვალში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 674 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 66%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 342 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 33.5%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 6 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.6%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 41.9% გამოიმუშავა (282 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 48.4% (327 მილიონი კილოვატსაათი) და 9.7% (65 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 136 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 39.8% და ჯამური გამომუშავების 13.3%), გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 95 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 27.9% და ჯამური გამომუშავების 9.3%), მტკვარი თესმა გამოიმუშავა 51 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 14.8% და ჯამური გამომუშავების 5%), თბილსრესმა გამოიმუშავა 54 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 15.8% და ჯამური გამომუშავების 5.3%), ხოლო აირტურბინამ გამოიმუშავა 6 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 1.7% და ჯამური გამომუშავების 0.6%), (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 26 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 9.3% და სრული წარმოების 2.6%). ენგურჰესმა 88 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 31.3%-ს და სრული წარმოების 8.6%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2023 წლის თებერვალთან შედარებით 3%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო


ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (33% – 373 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (22% – 251 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (25% – 289 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მოხმარებლები (20% – 233 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა პირდაპირი მოხმარებლებისგან, თელასი/თელმიკოსგან და ენერგო-პრო ჯორჯიასგან გაიზარდა, შესაბამისად, 5%-ით, 2.6%-ით და 1.1%-ით, ხოლო აფხაზეთისგან 1.5%-ით შემცირდა 2023 წლის თებერვალთან შედარებით. საერთო ჯამში, 2024 წლის თებერვალში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 1.7%-ით ნაკლები შეადგინა 2023 წლის თებერვლის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.

² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები


გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2024 წლის თებერვალში საქართველოში 172.8 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა (2023 წლის თებერვალში 207 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 97.6% შემოვიდა რუსეთიდან, ხოლო 2.4% - აზერბაიჯანიდან (2023 წლის თებერვალში იმპორტის 99.4% რუსეთიდან შემოვიდა, ხოლო 0.6% - აზერბაიჯანიდან). 2024 წლის თებერვალში საქართველოდან განხორციელდა 4.16 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი აზერბაიჯანში და 0.00003 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი თურქეთში (2023 წლის თებერვალში 1.4 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში) (დიაგრამა 10). 2024 წლის თებერვალში 89.1 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2023 წლის თებერვალში განხორციელდა 317.5 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 52.6 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში).


2024 წლის თებერვალში იმპორტი შემცირდა 16.7%-ით 2023 წლის თებერვალთან შედარებით, ხოლო ექსპორტი გაიზარდა 3-ჯერ.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2024 წლის თებერვალში იმპორტი გაიზარდა 7.9%-ით 2024 წლის იანვართან შედარებით (დიაგრამა 11). 2024 წლის თებერვალში ექსპორტი შემცირდა 50.9%-ით თვიურ კრილში (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები

2024 წლის თებერვალში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 71% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 29% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2024 წლის თებერვალში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 15.5 თეთრი კილოვატსაათზე, რაც 6.9%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2023 წლის იანვართან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 18.6 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2023 წლის იანვრის მონაცემის 47.3%-იან ზრდას შეესაბამება (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო


2024 წლის თებერვალში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი 15.16 მილიონი ლარი იყო, რაც 2023 წლის თებერვლის მონაცემზე 10.6%-ით მეტია (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი




2024 წლის თებერვალში, იმპორტის ფასები 0.27 ცენტი, ან 0.70 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 78%-იან და ლარში - 78%-იან ზრდას (2023 წლის თებერვალში ფასები 0.15 ცენტი, ან 0.40 თეთრი იყო კილოვატსათზე). 2024 წლის იანვარში, იმპორტის ფასები 0.75 ცენტი, ან 2.01 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 64.6%-იან, ხოლო ლარში - 64.9%-იან თვიურ კლებას. 2024 წლის თებერვალში, ექსპორტის ფასები 6.50 ცენტი, ან 17.26 თეთრი იყო (2023 წლის თებერვალში ფასები 6.50 ცენტი, ან 17.21 თეთრი იყო კილოვატსათზე) (დიაგრამა 16). 2024 წლის იანვარში, იმპორტის ფასები 6.50 ცენტი, ან 17.39 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 0.01%-იან კლებას, ხოლო ლარში - 0.7%-იან თვიურ ზრდას.

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




2023 წლის თებერვალში, რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 0.11 ცენტს, ან 0.29 თეთრს შეადგენდა კილოვატსათზე, ხოლო აზერბაიჯანიდან 6.50 ცენტს, ან 17.26 თეთრს (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2024 წლის თებერვალში, ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანიდან 6.50 ცენტს ან 17.26 თეთრს შეადგენდა, ხოლო თურქეთიდან - 6.67 ცენტს ან 17.71 თეთრს (დიაგრამა 18).


დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2024 წლის თებერვალში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ჩამოსცდა და HHI ინდექსი 1,424 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2023 წლის თებერვლის მონაცემზე (HHI 2,316 ერთეული) და 2024 წლის იანვრის მაჩვენებელზე (HHI 1,984 ერთეული) დაბალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2024 წლის თებერვალში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,224 ერთეულს გაუტოლდა (2023 წლის თებერვლის მაჩვენებელზე (2,332) და 2024 წლის იანვრის მაჩვენებელზე (2,259) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო